საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/02

ქ. ბათუმი 10 თებერვალი, 2022 წ.

,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/36 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის N111 დადგენილების დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2011-2012 წლებისათვის სწავლის საფასურის ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 24 ივნისის N08 გადაწყვეტილების, იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (№119206, 07.02.2022წ) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/36 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, **N1 დანართში** (წესი) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

ა) წესის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ბსუ-ში საქართველოს მოქლაქეებისთვის საბაკალავრო, ერთსაფეხურიან და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის წლიური საფასური შეადგენს 2250 ლარს (აკადემიურ წელში ასათვისებელი 60 კრედიტის საფასური), ხოლო სადოქტორო პროგრამაზე - 3000 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის სწავლის წლიური საფასური საბაკალავრო, ერთსაფეხურიან და სამაგისტრო პროგრამებზე შეადგენს 2250 აშშ დოლარს, ხოლო სადოქტორო პროგრამაზე - 3000 აშშ დოლარს. ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის სხვა ოდენობა შეიძლება განისაზღვროს ერთობლივი საგანმანათლებლო

პროგრამით ან/და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.";

ბ) წესის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 პუნქტები:

,,2^1. ბსუ-ში ჩარიცხვის (სტუდენტის სტატუსის მოპოვების) შემდეგ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, სწავლის წლიური საფასური ამ სტუდენტს განესაზღვრება წინამდებარე წესის მე-2 პუნქტით შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული ოდენობით ლარში:
ა) მიმდინარე სემესტრიდან - თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 ნოემბრამდე და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია **ან** თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 აპრილამდე და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია;
ბ) **მომდევნო სემესტრიდან** - თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 ნოემბრიდან და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია **ან** თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 აპრილიდან და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

2^2. ბსუ-ში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოიცავს 60 კრედიტს) სწავლის წლიური საფასური შეადგენს **2250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარს,** თანახმად ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა დაფინანსების მოცულობისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებით ამ პროგრამის სტუდენტისათვის განსაზღვრული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობისა."

2. დაევალოს იურიდიულ დეპარტამენტს წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ცვლილებების გათვალისწინებით მოამზადოს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/36 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის" კოდიფიცირებული აქტი.
4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დავით ბარათაშვილი**